განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის დადგენილებაზე "საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის N2714–Iს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:
ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:
დადგენილების ინიცირების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრების მიერ სადეპუტატო ფუნქციების შესრულებისათვის ხელშეწყობა და დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი:
მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფა.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:
მაჟორიტარი პარლამენტარების მიერ მათი ფუნქციების განსახორციელებლად და შესაბამისი ბიუროს მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფისათვის თანხების გამოყოფა ყოველთვიურად: თვითმმართველ ქალაქებში არჩეულ მაჟორიტარ დეპუტატებზე (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) – 1400 ლარი, დანარჩენ მაჟორიტარებზე – 1070 ლარი.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება.
ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
აღნიშნული პროექტის მიღება საჭიროებს პარლამენტის ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებების გამოყოფას 339480 ლარის ოდენობით.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
პროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, რადგანაც აღნიშნული სახის სახსრები უკვე გათვალისწინებულია პარლამენტის ბიუჯეტში.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
იმ პირებს, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის ფინანსური მოქმედება, გაეზრდებათ შრომის ანაზღაურება.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
დადგენილების პროექტით არ განისაზღვრება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) პროექტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები მაჟორიტარ დეპუტატებთან.
დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:
–
დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი:
პროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები მიხეილ მაჭავარიანი და ზურაბ ბუცხრიკიძე.

დ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:
პარლამენტის I ვიცე–სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან
ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საჭირო
თანხა 2008 წლის სექტემბერ–დეკემბერში

	მაჟორიტარ პარლამენტართა რაოდენობა	ბიუჯეტიდან ერთ საარჩევნო ოლქზე ყოველთვიურად გამოყოფილი თანხა, ლარი	ბიუჯეტიდან ოთხი თვის მანძილზე გამოყოფილი თანხა, ლარი–სულ
მაჟორიტარი პარლამენტარები, – სულ	75	X	339480
აქედან:			
თვითმმართველ ქალაქებში არჩეული მაჟორიტარი პარლამენტარები	14	1400	78400
დანარჩენი მაჟორიტარი პარლამენტარები	61	1070	261080